№ 144 ივლისი 5, შაბათი 1886 ივლისი 5 შაბათი, № 144

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ-ს საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 4 ივლისი

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ერთს დროს სულ სხვა აზრისა ბძანდებოდა ბანკების თაობაზედ. აქაო და ერთი დრო არავის შერჩენიაო, არც ამ აზრს შერჩა ერთი დრო: იგი დროთა განმავლობაში იცვლებოდა ასე, რომ წინა აზრი მომდევარს აზრს აღარაფერში ჰგვანდა. ისტორია ამ ცვალებადობისა სულ თვრამეტს თუ ოცს წელიწადს იპყრობს. თუმცა მოსაწყენია, მაგრამ საგულისხმო კია, რომ კაცმა ეს ხანა ჩვენის ბანკების ისტორიისა გადაათვალიეროს. მაშინ ცხადად გამოგვეხატება, —რა სდომებია ბ-ნს ყიფიანს წინად, რა სდომებია მერმედ და რა ჰსურს დღესა. ჩვენ ამ ისტორიის მოკლე ხანას იმ სამის საკითხავის მიხედვით განვიხილავთ, რომელიც შეადგენს არსებას და ბუნებას ჩვენის კამათობის საგნისას. ერთი: ვის სახელს არქმევდა ბ-ნი ყიფიანი ბანკსა და მის პატრონად და მონაწილედ ვის ხადიდა? მეორე: რა შეღავათს იძლევოდა ვალის ამღებთათვის და მესამე—მამულების გაუსყიდებლობას მართლა საფუძვლად უდებდა თუ არა მის მიერ განზრახულს ბანკსა?

ბ-ნს ყიფიანს სდომებია არა სათავად-აზნაურო ბანკი, არამედ საყოველთაო (общественный) და ამასთანავე აქციონური. აქციები, ანუ „პაი“ ას-ას მანეთიანი ყოფილა. სულ 6,000 აქცია ანუ „პაი“ ჰქონია განზრახული. აქედამ 2,000 აქცია თავად-აზნაურთათვის მიუჩენია და 4,000 სხვა ყველა წოდების კაცისათვის. ამის გამო ბანკისათვის საყოველთაო ხასიათი მიუცია და არა სათავადაზნაურო[1]. ყველა აქციონერისათვის დივიდენტი დაუნიშნავს ბანკის მოგებიდამ. ბანკის მონაწილენი და კრებაში ხმის მქონებელნი არიან აქციის ანუ «პაის» პატრონები[2] გირავნობის ფურცლების მფლობელნი და ბანკიდამ მსესხებელნი არა ნაკლებ 600 მანათისა[3]. ამ სახით, თვითვე ბ-ნი ყიფიანი იმედოვნებს, რომ ნახევარზე მეტი ხმა ქალაქში მცხოვრებთ ექნებათ საბანკო კრებაში[4].

ბ-ნს ყიფიანს ბანკის საფუძვლადვე დაუდვია ურთიერთი თავდებობა დაგირავებულის მამულებისა, რის გამოც მსესხებელთათვის ხმა და მონაწილეობა მიუნიჭებია ბანკის საქმეებში[5].

ამ სახით ბ-ნმა ყიფიანმა ბანკის მონაწილედ გახადა არამც თუ მარტო თავად-აზნაურნი, არამედ ყველანი, ვისაც კი რამდენიმე აქცია ექნება, ვინც კი ბანკიდამ ფულს ისესხებს, და ვისაც გირავნობის ფურცელი ხელში ექმნებოდა. ჩვენს დღევანდელს ბანკს რისხვით და წყრომით მოესია გაზეთს „დროებაში“ იგივე ბ-ნი ყიფიანი, რომ ურთიერთი თავდებობა დაგირავებულის მამულებისა შეიტანა თავის წესდებაში და დამგირავებელს ხმა მისცა საბანკო კრებაში. ჩვენდა სამწუხაროდ, ის ნომერი „დროებისა“ ხელთ არა გვაქვს, რომ ბ-ნ ყიფიანის რისხვა-წყრომა ამ საგანზედ წარგვედგინა მკითხველთათვის. მაგრამ ჩვენის სიტყვის საბუთად ისიც საკმარისია, რომ მოვიყვანოთ აქ ბ-ნ ყიფიანის წერილი 1884 წელს, წარდგენილი გორის თავად-აზნაურთა კრებაში. ამ წერილში ბ-ნი ყიფიანი ასე უკიჟინებს ჩვენს ბანკსა:

> ვალის ამღებნი ისეთივე წევრნი არიან, როგორც დამფუძნებელნი და რადგანაც პირველნი ბევრად მეტნი არიან მეორეებზედ, აშკარაა დღეს არა ხვალ ჩვენი ბანკი იმათი გახდებაო...

ამ სახით გამოდის, რომ ჩვენმა ბანკმა ბანკის მონაწილედ გახადა მარტო თავად-აზნაურნი—დამფუძნებელნი და სესხის გამტანი და ამით ბანკი დღეს არა ხვალე ხელიდამ გამოგვეცლება თავად-აზნაურობას და მაშინ კი, როცა ბ-ნმა ყიფიანმა თავად-აზნაურობის სახელიც ჩამოართვა ბანკსა; როცა ბანკის მონაწილედ და კრებაში ხმის მქონებელად არამც თუ მარტო მამულის დამგირავებელი გახადა თავად-აზნაურობასთან ერთად, არამედ ყველა აქციონერიცა, 12 აქციის პატრონი, ყველა გირავნობის ფურცლის პატრონიცა, რომელთაც 1,200 მანათის ფურცელი ექნებათ და ამასთან იმედიცა ჰქონდა, რომ საბანკო კრებაზე ნახევარზე მეტი ხმა ქალაქში მცხოვრებთა ექმნებოდათ — მაშინ კი, ჩვენი ბანკი თავად-აზნაურობას შეჰრჩებოდა და ხელიდამ არ გამოეცლებოდა!... რატომ მაშინ არ შეიპყრა ბ-ნი ყიფიანი იმ შიშმა, რომლითაც ეხლა ჩვენს ბანკსა სდევნის, და რომელსაც ბ. ყიფიანის პროექტით, ყველა მიზეზი მთლად დაუკლებლივ ჰქონდა და ჩვენს ბანკს კი იმ მიზეზთაგან მარტო ერთი აქვს, ისიც ღმერთმა იცის, ჩასათვლელია თუ არა მართალ მიზეზად? ეს ორი აზრი ერთისა და იმავე კაცის ერთსა და იმავე საგანზედ, ერთმანეთის შთამთქმელი და დამშრეტი განმარტებას აღარ თხოულობს...

ახალი ამბავი

⁂ ამ ჟამად ტფილისის პოლიციის მე-5 ნაწილში გაუთავებიათ კამერალური აღწერა. ამ აღწერიდგანა სჩანს, რომ ზემოხსენებულს ტფილისის ნაწილში სულ 10,495 სული მცხოვრებელია. ამათში 5,764 მამათა სქესს ეკუთვნის და 4,731 დედათა სქესსა. 4,857 სული მუდმივად ქალაქში მცხოვრებელია და 3,912 სული-კი დროებითად.

⁂ სიცხით დაშვრალი მცხოვრებლები საღამოობით მუშტაიდის ბაღებში მიეშურებიან ჰაერის ჩასაყლაპავად, როგორც თვით ამბობენ. სხვათა შორის ერთი სალხინო და დროს გასატარებელი კიდევ მოემატათ ტფილელებს. ლორთქიფანიძეს დიდუბესთან აუშენებია დიდი ფიცრული, გძელი და მაღალი ჩარდახი. აქ „ლუდსა“ ჰყიდის და კვირაში თითო ორ-ორჯელ ხალხის გასართობსაც ჰმართავს. ამისთვის სამხედრო მუსიკა უკრავს და სხვა-და-სხვა გვარი ჯამბაზები თვალთ-მაქცობენ და თამაშობენ. მაგალითებრ, 2 ივნისსა ჰქონია გამართული ერთი ამ გვარი გასართობი საღამო და მეტად ბევრი ხალხი დასწრებია. ხალხი ეტანება უფრო იმიტომ, რომ საღამოებზე ფულს არ ახდევინებენ. ცხენის რკინის-გზის რამდენიმე მატარებელი ამ

---

[1] „Этимъ дается банку характеръ общественный, ამბობს ბ-ნი ყიფიანი თავის საკუთარის ხელით დაწერილს წერილში, რომელსაც экстрактъ-ი ჰქვიან და ჩაკერებულია ბანკის მაშინდელ საქმეში. ნაწილი 2, გვერდი 257. იქავ გვერდი 263—ბ-ნი ყიფიანი ამბობს: Ни я, когда я дѣлалъ мое заявленіе дворянсту, ни дворянство, когда оно высказывалось по этому заявленію, не выражали ни малѣйшаго намѣренія замыкаться относительно учрежденія банка въ сословныхъ предѣлахъ. Напротивъ того.... и я и дворянство высказались въ томъ смыслѣ чтобъ не придавать банку.... никакого сословнаго характера.

[2] აი რას ამბობს ამაზედ ბ-ნი ყიფიანი: „прибыли банка и всѣ капиталы составляютъ достояніе пайщиковъ“. (ნაწილი II, გვერდი 276).

[3] § 57 ბ-ნ ყიფიანის პროექტისა.

[4] იქვე გვერდი 230.

[5] § 185, მუხლი 4-ხე მესამის პროექტისა და 129 პარაგრაფი მეოთხეს პროექტისა.

ფელეტონი

უცხოთა შორის

ჩინეთის იმპერატორის ქორწინება.—პატარძლის ამორჩევა.—პატარძლის მოსაკითხავი.—საქორწილო საჩუქრები.—„დიდი ქორწინება“.—„ქორწინების წესი“.—ჩინეთური ცერემონიები.—ჩვენის დროის არისტიდები.—სულელი „იზვოშჩიკი“.—„კონდუქტორი-არისტიდი“.—გულმრისხანე „იზვოშჩიკი-არისტიდი“.

წლევანდელი წელიწადი დიდ-კაცთა და მეფეთ ქორწინების წელიწადია. ჰიმენეოსი, ღმერთი ქორწინებისა, დღესასწაულობს: თვით ძე ცისა, მეფე-მეფეთა, დიდი მბძანებელი ჩინეთისა მუხლს იდრეკს მის საკურთხევლის წინაშე.

ზეცათა იმპერიის მბძანებელი, ბოლდიხანი ჩინეთისა თექვსმეტის წლისა შეიქმნა! ჩინეთის მთელი სამინისტრო შეიძრა, საქმეებს ველარ ასვლია. სამინისტროს მოხელეები მთელ სახელმწიფოს მოეფინნენ. სამინისტროდამ ბრძანება ბრძანებაზე მიდის ჩინეთის ყოველ მხარეში.

სამეცნიერო აკადემიის უკვდავნი წევრნი გრძელ ნაწნავებითა და მწვანე სათვალეებით სავარძლებში სხედან და ღრმად ჩაფიქრებულნი დიდს წიგნებს ჩაჰყურებენ და თანაც სწერენ. მხოლოდ დრო-გამოშვებით ძვირფასის ჩინეთურ მარაოებით მოჰმუხნულ შუბლს იგრილებენ გამოჩენილნი ვარსკვლავთ-მრიცხველნი გრძელსა, ასტრონომიულ რიცხვებით აჭრელებულს ფურცლებს თავ-დახრილნი ჩაჰკვირევებიან და მხოლოდ ხანდისხან ცასა და ვარსკვლავებს თვალს გაუსწორებენ ხოლმე.

დღეს ყველას ამათ დიდი სავალდებულო ტვირთი აწევთ, ყველანი დიდს პასუხის-გებაში არიან თავიანთ მბრძანებლის წინაშე.

⁂

ჩინეთის იმპერატორი თექვსმეტის წლისა შეიქმნა. „აღსრულდა დღე იგი, ოდეს წინაპართა დიდი და წმინდა დადგინება სისრულეში მოყვანილ უნდა იქმნეს.“ ასეთის მაღალის ენით მჭევრ-მეტყველობს ჩინეთის კანონების შემდგენელი. უბრალო სიკვდილის შვილების ენაზე ეს ჭრელი სიტყვა იმასა ჰნიშნავს, რომ იმპერატორი თექვსმეტის წლისა შესრულდა და წინაპართა ჩვეულების ძალით უნდა დაქორწინდეს, ცოლი შეირთოს. ჩინეთის იმპერატორის დაქორწინება ადვილი საქმე არა ყოფილა. ძნელი ყოფილა იმპერატორის გულის შეპყრობა. ბევრი და დიდი ღირსება უნდა ჰქონდეს თურმე ქალს, რომ ჩინეთის დედოფლად გახდეს. ქალი უნდა იყოს ლამაზი, დიდის ჭკუისა და კარგად განათლებული. ამის გაგება მინისტრების მოვალეობაა. ქალი უნდა იყოს დიდის გვარეულობისა, მაღალ წოდებას ეკუთვნოდეს, ამის წინაპართ წარსული ისტორია უნდა სახელოვანი და შეუბღალავი იყოს. ყველა ეს დაწვრილებით აკადემიკოსებმა უნდა შეიტყონ. ქალი ბედნიერ წელს, რიცხვსა, დღესა და საათს, ბედნიერ ვარსკვლავზე უნდა იყოს დაბადებული. ამის დაწვრილებით გამოკვლევა ვარსკვლავთ-მრიცხველების მოვალეობაა.

⁂

აი ბოლოს აღმოჩნდა ისეთი ბედნიერი, რომელსაც ჩინეთის დედოფლობა—ეს დიდება და პატივი—ბედმა წილად არგუნა. ახლა ქორწილის თადარიგს შეუდგებიან. ჯერ ვარსკვლავთ-მრიცხველებმა უნდა დღე ამოირჩიონ; ასტრონომიულის გამოკვლევით ეს დღე ბედნიერი დღე უნდა იყოს. ამ დღისთვის თვით ბოლდიხანისგან ბრძანება გამოდის, რომელიც საყოველთაოდ აცხადებს: ამ და ამ დღეს «დიდი ქორწინება» იქნებაო. «დიდ ქორწინებას» იმიტომ ეძახიან, რომ ჩინეთის იმპერატორს შეუძლიან კანონით რამდენიმე ცოლი იყოლიოს და მაშასადამე ამდენივე ქორწილი გამართოს. იმ ცოლს კი, რომელსაც „დიდს ქორწინებით“ ირთავს, სულ სხვა ადგილი და უფლება ეძლევა. ეს პირველი ცოლია, დედოფალი, და მხოლოდ იმ შვილებს, რომელნიც ამისგან მოეცემიან, ტახტის მემკვიდრეობა შეუძლიანთ. ამიტომ ამ ქორწინებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ და დიდის ამბითაც გადიხდიან ხოლმე.

რა წამსაც ვარსკვლავთ-მრიცხველნი ქორწინების დღეს დანიშნენ, მაშინვე საქმეს შეუდგებიან. სამეცნიერო აკადემიის წევრნი «ქორწინების წერილის» შედგენას მოჰყვებიან. ეს წერილი ოქროს ფურცელია და ზედ სიტყვებია ამოჭრილი. მინისტრები პატარძლის მოსაკითხავ საჩუქრებს ამზადებენ. ამ საქმის მოთავედ ესრედწოდებული „ცერემონიის მინისტრია“ დანიშნული. თანაშემწედ ამას სასახლის მინისტრი ეძლევა. როდესაც საჩუქრები მზად იქნება, სასახლის უწყების მოხელენი დიდის დარბაზის წითელ კიბეზე ორ მწკრივ სტოლებს დასდგმენ ხოლმე. სტოლებზე საჩუქრებს აწყობენ. საჯინიბოს უწყებამ ტახტრევანები და ცხენები უნდა მოამზადოს. პატარძლის სასახლეშიაც იმ გვარათვე, როგორც აქ, სტოლები უნდა იყოს ჩამომწკრივებული. დანიშნულ დღეს, დილის ხუთს საათზედ „ცერემონიის მინისტრი“ და მისი თანაშემწე სასახლეში უნდა მოვიდნენ სადღესასწაულო ტანისამოსით. ამათ თვალ-წინ კარის-კაცებმა საჩუქრები სტოლებიდამ უნდა ტახტრევანებში გადააწყონ. მერე მინისტრი წინ გაუძღვება და მთელი ხალხი საჩუქრებით უკან მისდევს. პატარძლის სასახლეს რომ მიუახლოვდებიან, პატარძლის მამა გალავნის კარებთან უნდა დაჰხვდეს დაჩოქილი გზის მარჯვენა მხარეს და პირი ჩრდილოეთისკენ უნდა ჰქონდეს მიქცეული. ხალხი გალავანს შიგნით შედის და სასტუმრო ოთახის კარების წინ ჩერდება. საჩუქრებს ტახტრევანებიდამ იღებენ და სტოლებზე აწყობენ. მერე «ცერემონიის მინისტრი» ყველა საჩუქარს სათითაოდ მოწიწებით იღებს და დედოფლის მამას აძლევს. მამა უნდა

საღამოს თვით ლორთქიფანიძის თხოვნით დადიოდა თურმე. აგრეთვე შაბათს 12 ივლისს იქნება გამართული კიდევ ამ გვარივე სასეირნო საღამო ტფილისის სატუსაღოთა და ტუსაღთა სასარგებლოდ.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი ამბავი: ჯიბგირებსა და საზოგადოდ ამ ხელობის ხალხს ახლა ერთი სხვა გვარი ხრიკები მოუგონიათ ფულის მოსაპოვებლად და სახლების გასაქურდავად. თურმე შეიყრიან თავს ეს ვაჟ-ბატონები ათითორმეტი სული ერთად, ჩაცუცქდებიან სადმე ქუჩაზე და ყომარსა და „ხლუსტსა“ ჰთამაშობენ. ამით ორგვარი სარგებლობა აქვთ: სახლებსაცა ჰზვერავენ და თუ ვინმე ჩაუვარდათ ხელში უცოდინარი, წაახალისებენ, ჯერ წააგებენ და შემდეგ სულ დაუცარიელებენ ჯიბესა. ამიტომაც ხშირად იმ სახლის მდგმურს უტეხავენ სადგომს, რომელ სახლის ახლოც ისინი იყვნენ წინა დღით შეკრებილნი. ამ გვარი ამბავი უფრო ხშირად ავლაბარში მოხდება ხოლმე, კუკიაში, ხუროების ზემოდგან და გარეთ-უბანს, წყლის-ნაპირაზეო. უმეტესად უფრო ამ ალაგებში იკრიბებიან ეს ვაჟ-ბატონები და დილის ათის საათიდგან მოყოლებული, მზის ჩასვლამდე და უფრო გვიანაც ამ ალაგებში ატარებენ დროს. კარგი იქნება, რომ პოლიციის მოხელეთ, რომელნიც ამ ალაგებში არიან დანიშნულნი, მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და თვალი ადევნონ საეჭვო კაცებს.

⁂ ჩვენ გვთხოვენ აგრეთვე, რომ გამოვაცხადოთ ტალახის ქუჩაზე მცხოვრებლების შეწუხება ერთის ოჯახობის მიერ. საქმე იმაშია, რომ ამ ოჯახში თურმე ერთი გიჟია და დილით საღამომდე გაჰკივის და მოსვენებას არ აძლევს მცხოვრებლებს. ეს გიჟი ვიღაც ხარაზია და ორმოცის წლისა იქნებაო. თურმე ბევრჯელ უთხოვნია ცოლს, მაგრამ არსად სამკურნალოში არ მიუღიათ და ამ ქამად ოთახში ჰყავთ დამწყვდეული. ნუ თუ არავინ გამოჩნდება მადლიანი, რომ მეზობლებიც დაიხსნას, ღარიბი ჯალაბობაც ამ საბრალოსაგან და მიაღებინონ სამკურნალოში, სადაც რამდენჯერმე მიუმართავთ თხოვნით, მაგრამ უარი უთქვამთ.

⁂ ყვირილიდგანა გვწერენ: ჩვენში მოვიდა ფოტოგრაფი ნ. აბაშიძე და გვარიან სურათებსაც იღებსო. გასაკვირველი ის არის, რომ ეს აბაშიძე სულ რამდენიმე ხანი ყოფილა და მეტად კარგად შეუსწავლია ეს ხელობაო.

⁂ 3 ივნისის ღამეს, როგორც სწერენ გაზ. „ახ. მიმოხ“, ფოთიდგან 491 ვერსზედ, რკინის გზის სადგურთ მდაღ-მამეთლისა და გერანის შუა საქონლის მატარებელი 20 №, ლიანდაგს გადასცილდა, იმის გამო რომ ღერძი გასტეხოდა, და ხუთი ვაგონი დაიმტვრაო. ამის გამოც ტფილისში მოსასვლელმა ხალხის მატარებელმაც რამდენისამე საათით დაიგვიანა. მხოლოდ ერთი კაცი დაშავდა ცოტადი, რომელმაც თავის თავი რკინის გზის ყარაულად დაასახელა, და სხვა უბედურება არავითარი არ მომხდარაო.

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ თიონეთიდამ: მინდვრებზე, რომელიც მატან-მარილის ს-ზოგადოებას ეკუთვნის, მრავალი ჭია გამოჩნდა, რომელიც ყანებს მუსრს ავლებსო. რამდენიმე ამ მწერისა დაუჭერიათ და ტფილისში გამოუგზავნიათ გამოსაკვლევად, თუ რა გვარი მწერი უნდა იყოსო. როგორც ამბობენ, ეს ჭია ძალიან ჰგავს რუსეთში ყოფილ ჭიას, რომელმაც სამხრეთ-რუსეთში მუსრი გაავლო პურსაო და რომელსაც რუსები „კუზკა“-ს (кузька) ეძახიანო. ეს ჭია მხოლოდ იმითი განსხვავდება რუსეთის ჭიისაგან, რომ წელზე მუქი ზოლები აქვს სერ-სერად გაყოლებულიო.

⁂ გაზ. „Каспій“-ს სიტყვით, ბაქოში გემი, «თავ. ბარიათინსკი» მოსულა და გემზედ მოსულთ შემდეგი ამბავი უამბნიათ: «უზუნ-ადას» ნავთ-სადგურთან, ასტრახანში, ჩეჩნისთან ჩვენ დავინახეთ დამტვრეული გემი, რომელზედაც ოთხი კაცი იყო და შველას იხვეწებოდნენო. უბედურები მაშინვე გადავარჩინეთო. გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ესენი ზღვის ჯარის-კაცნი იყვნენ ერთის დაღუპულის აფრიანის გემისა და რომ გემის დაღუპვის შემდეგ ხუთი დღე გაეტარებინათ ამ გემის მოგლეჯილს ნაშთზედა უსმელ-უჭმელადო. ამათში სამი რუსია და ერთი სპარსიო. შესანიშნავი ის არისო, დასძენს ზემოხსენებული გაზეთი, რომ ამდენის ხნის უსმელ-უჭმელნი იყვნენ და მაინც როდესაც სპარსელი გადაარჩინეს, პირველი იმის სიტყვები ის იყო, რომ «თუთუნი მომაწევინეთო»!...

დამაკვირდი!

მადლისა და სიკეთის ქმნა ნერგია, ძალიან იშვიათი ნერგი, რომელსაც კვირტად და ყვავილად ხშირად უმადურება გამოაქვს ხოლმე. (დუკლო)

—

წყენა და ბოროტი დაივიწყე, ხოლო სიკეთეს კი ნუ დაივიწყებ ნუ რა დროს. (კონფუცი)

—

კეთილ-გონიერება თვალაა ყოველის სათნოებისა. (პითაგორი)

—

თუ კეთილ-გონიერებას გამბედაობა არა აქვს, უქმია და თუ გამბედაობას კეთილ-გონიერება არა ჰპატრონობს, სიგიჟეა. (არაბული ანდაზა)

—

ვითარცა ცეცხლი მარტოდა
სჩანს ველსა ზედა შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში
ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრეთ იქმნების აღსოცილ
ამ სოფლით მისა სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო
და არ აღბეჭდა ნავალი. (თ. გ. ორბელიანი)

—

ნუ ვინ იტყვის ობლობისა კვნესას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვის-ტომობას!...
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი... (თ. ნ. ბარათაშვილი)

—

ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს,
ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა
თუ არ კუპრში რაში გარცხოს? (დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი, 27 ივნისს. მე ვიყავი სოფ. ახალ-სოფელში ივნისის 1-ს. რადგანაც მე, ამ სტრიქონების დამწერს, ამავე სოფლის საზოგადოებასთან მქონდა საქმე, ამისათვის კომლზედ კაცი თავიანთისავე მამასახლისით ჩემთან იყვნენ. ყრილობა იყო სოფლისავე სასამართლოს შენობაში. ვილაპარაკეთ, რაც საქმე გვქონდა ერთმანეთში, სრულიად გავათავეთ და ხალხიც ის იყო იშლებოდა. ესე იქნებოდა ლამის 10—10½ საათი. ამ დროს შემოვიდა ჩვენთან ორი გლეხ-კაცი, ორივე ოფლში სცურავდნენ და მისცეს მამასახლისს ერთი ხელის გულის ტოლა გაქონილ-გამჭვარტლული ქაღალდი და უთხრეს მამასახლისს: ჩვენ ორივენი ვართ სოფ. ბერბუკიდამ, შებინდების დროს ეს ბრძანება მოიტანა გორის უფროსის ჩაფარმა, რომელმაც გამოუცხადა ჩვენს მამასახლისს, რომ ძრიელ საჩქარო საქმეა და უფროსმა გიბრძანა, უთუოდ ამაღამვე სოფ. ხურვალეთში აზნაურს ილიკო ქარუმიძეს უნდა გაუგზავნოვო. მამასახლისმა გამოგვატანა შენთან და აქედამაც ეხლავე უნდა გაატანო სოფლის კაცსაო. მამასახლისს თუმცა არ ეჭაშნიკა ამ უდროო-დროს ბრძანების მოტანა, მაგრამ რა ღონე ჰქონდა, მიიღო და გზირები დააფათურა, რომ გამოეყვანათ სოფლიდამ ორი კაცი ბრძანების წასაღებად: გზირებმა ბევრი იარეს სოფელში, მაგრამ რადგანაც უდროობა იყო, ხალხი დაღალულ-დაქანცულიყო მუშაობისაგან, არავინ გამოვიდა ხურვალეთში წასასვლელად. მამასახლისმა მთხოვა ერთი წამიკითხე, რა სწერიაო; თუ მართლა საჩქაროა, მე მაინც წავიღებო. შევუსრულე გულის წადილი და წავიკითხე. აღმოჩნდა, რომ ბრძანება კი არ იყო უფროსისაგან, არამედ იმავე ჩაფრისაგან იყო მიწერილი. აი რა ეწერა: „ბატონო ილიკო! თქვენ რომ მიბრძანეთ უფროსი რა დროსაც მობრძანდეს ქალაქიდამ, შემატყობინეო, გატყობინებ, დღეს მობრძანდა. **N. N.**“

ძრიელ გააკვირა და გაიოცა მამასახლისი ამ საქმემ და სთქვა: ყველანი ჩვენ გვატყუებენ და არ ვიცით რა გვეშველებაო. ამის შემდეგ მართალი ბრძანებაც რომ მომიტანონ, ვეღარ ვენდობიო.

ის კაცები, რომელთაც ეს ბარათი მოიტანეს, ჯერ არ წასულიყვნენ. ამათ რომ გაიგეს უფროსისაგან არ ყოფილაო, საშინლად გადირიენ და იძახდნენ, რომ თუ უფროსისაგან არ ყოფილა, დაღალულ-დაწყვეტილი ორ-ორი კაცი რისთვის გამოგვიყენა ამოდენა შარა გზასაო. ყველამ უარი გამოაცხადეს, გათენებამდე არავის მოჰქონდაო, ჩაფარი კი ძალას გვატანდა, ამაღამვე არის წასაღებიო. ცოტას მორჩა კინაღამ ჩხუბი ასტყდაო ამის თაობაზედ, ბოლოს მათრახის ცემით ჩვენ გვაკისრებინესო.

როცა დარწმუნდნენ, რომ მოტყუებულნი იყვნენ ჩაფრისაგან, ბარათი მამასახლისმა ჯიბეში ჩაიდვა და აღარ შეუდგა იმის გაგზავნას. მე ვურჩიე მამასახლისს, რომ ის ბარათი ჩაეტანა მაზრის უფროსისათვის და მოეხსენებინა ჩაფრის ვერაგობა და კიდევაც დავარწმუნე, ამ რიგ ბოროტ-მოქმედობისათვის მძიმედ დასჯიან ჩაფარს და მერე ვეღარ გაბედავს-მეთქი, მაგრამ მამასახლისმა არა ჰქმნა, თივა

მუხლ-მოდრეკილი იდგეს და ისე მიიღოს საჩუქრები. როდესაც საჩუქრებს სრულიად მიიღებს, პატარძლის მამამ თავის შვილებით უნდა სამჯერ მუხლი მოიყაროს და ცხრაჯელ თავი დაუკრას იმ მხარეს, საითკენაც ბოლდიხანის სასახლეა. ამავე დღეს პატარძლის სახლში სადილი იმართება, სადაც მხოლოდ დიდ-კაცობა და მაღალის ხარისხის მოხელენი არიან ხოლმე მიწვეულნი.

⁂

ჯვარის წერის წინა დღეს იმპერატორი ჰგზავნის კარის კაცებს სხვადასხვა ტაძრებში სალოცავად. აქ უნდა შაავედრონ იმპერატორი ცასა, დედა-მიწასა და წინაპართა, რომ ქორწინება მისი ბედნიერი იყოს.

ამავე დროს პატარძალს უგზავნიან საქორწინო საჩუქრებს—ძვირფასს ტანისამოსს და თეთრეულობასა. ეს საქმეც ისევ „ცერემონიისა“ და სასახლის მინისტრმა უნდა შეასრულონ. ეს საჩუქრებიც იმავ რიგითა და ამბით იგზავნება, როგორც მოსაკითხი. ამასთანავე პატარძლის მამასა, დედასა და ძმებსაც საჩუქრები მისდით; ოქრო, ვერცხლი, ტანისამოსი, ცხენები, უნაგირები და სხვანი. საჩუქრების მიღების შემდეგ, ყველამ უნდა ჩვეულებრივი წესი აასრულოს, ე. ი. სამჯერ მუხლი მოიყაროს და ცხრაჯელ თავი დაუკრას.

⁂

ბოლოს ქორწინების დღეც მოვიდა. ჯერ უნდა მახარობლები ამოირჩიონ. მახარობლად სამი კაცი ინიშნება: და-სე-ბი, კანცლერი, პირველი კაცი მთელს იმპერიაში, და იგივე «ცერემონიისა» და სასახლის მინისტრი. მერე უნდა შესდგეს სია იმ პირთა, რომელთაც ქორწინებაზე დასწრების ნება აქვთ და ეს სია თვით ბოლდიხანს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად. საჯინიბოს უწყებამ ორი ტახტრევანი უნდა მოამზადოს, ერთი მეფისთვის, მეორე პატარძლისთვის. გარდა ამისა, სასახლის დარბაზის გარედ კარებთან კიბეს ქვეით ორი ესრედ წოდებული „გველაშაპის ტახტრევანი“ უნდა იყოს დამდგარი, კიბეს ზემოდ კარების შიგნით მარცხნივ და მარჯვნივ ორი სტოლი იდგეს—ერთი ქორწინების წერილისთვის, მეორე ბეჭდისათვის.

როდესაც სუყველაფერი ეს მზად იყო, ბოლდიხანს შეატყობინეს. ბოლდიხანი ჯერ დედასთან წავიდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად. აქედამ დარბაზში წამოვიდა. გზაზე „თანხმობის მუსიკა“ უკრავდა. როდესაც იმპერატორი ტახტზე დაბძანდა, მახარობლები შემოიყვანეს. მახარობლები მიუახლოვდნენ ბოლდიხანს და მუხლი მოუყარეს. კანცლერმა და-სე-ბიმ „ცერემონიისა“ და სასახლის მინისტრს ქორწინების წერილი და ბეჭედი მისცა. ამათ სტოლებზე დააწყეს, ამ სახით კიბეზე ძირს ჩაიტანეს და «გველაშაპის ტახტრევანებში» ცალ-ცალკე ჩააწყეს. როდესაც იმპერატორი დარბაზიდამ უკანვე გაბძანდა, კანცლერი ძირს ჩამოვიდა. ხალხი ტახტრევანებით დაიძრა და პატარძლისკენ წავიდა. წინ მახარობლები მიუძღოდნენ, უკან პრინცები, თავადნი და სხვა კარის დიდ-კაცნი მისდევდნენ. პატარძლის სახლთან მივიდნენ. აქ კარებთან კარის-კაცები გამოეგებნენ, და სტოლებზე გადაწყობილი ქორწინების წერილი და ბეჭედი პატარძლის სასტუმრო ოთახში შეიტანეს. შეატყობინეს პატარძალს. პატარძალი თავის ოთახიდამ დინჯად გამობძანდა და თან თავის თანა-მხლებელნი ქალები გამოჰყვნენ. გამოსავალ კარებში დედა და ნათესავები მუხლ-მოყრილნი ჰხვდებიან. პატარძალი მიდის სტოლთან, სადაც ქორწინების წერილი და ბეჭედი აწყვია, მუხლს იყრის, მერე აღმოსავლეთისკენ პირს მიიქცევს და ხმა მაღლა აღიარებს ნატვრას, რომ ბოლდიხანს ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს. აქედამ პატარძალი ოთახის შუა ადგილას მიჰყავთ, პირს ჩრდილოეთისკენ მიაქცევინებენ და მარცხნივ და მარჯვნივ ორ თანა-მხლებელს ქალს უყენებენ დაჩოქილებს. ერთი მკითხველი-ქალი იღებს სტოლიდამ ქორწინების წერილს, ხმა მაღლა კითხულობს. წაკითხვის შემდეგ წერილი პატარძლის მარცხენა მხრივ დაჩოქილს ქალს ეძლევა, ეს პატარძალს გარდასცემს. პატარძალი მარჯვენა მხარეს დაჩოქილს ქალს, ეს ისევ მეორე-მკითხველ ქალს, რომელიც წერილს უკანვე სტოლზე სდებს. ამ სახითვე უნდა შემოიაროს ბეჭედმა, მანამ ისევ იმ სტოლზე დაბრუნდება, საიდამაც აიღეს.

ამის შემდეგ პატარძალი ბოლდიხანის თაყვანის ცემის წესს ასრულებს, ე. ი. შვიდჯერ ცალ მუხლს იდრეკს, სამჯერ ორივე მუხლს და სამჯერ თავს უკრავს, და თავის თანა-მხლებელებით ისევ თავის ოთახში მიდის.

ქორწინების წერილსა და ბეჭედს ისევ უკან იღებენ, ძირს ჩააქვთ და „გველაშაპის ტახტრევანებში“ აწყობენ. ეხლა უცდიან, მანამ ვარსკვლავთ-მრიცხველები ბედნიერ საათს შეატყობინებენ, რომ პატარძალი მეფის სასახლეში წაიყვანონ.

პატარძალს დედა და ნათესავი ქალები გალავნის შიგნით კარებამდე აცილებენ მუხლ-მოდრეკით, მამა და ნათესავი კაცები გალავნის გარედ კარებამდე აგრეთვე მუხლ-მოდრეკით.

ხალხი დიდის ამბით და ყოფით სასახლისკენ მიიზიდება. წინ ისევ მახარობლები მიდიან, ამათ „გველაშაპის ტახტრევანები“ მისდევთ, შემდეგ პატარძლის ტახტრევანია და უკან პრინცები, თავადები და დიდ-კაცნი ცოლებით. პატარძლის ტახტრევანს ხუთი ცხენოსანი ქალი წინ მიუძღვის, შვიდი უკან მისდევს.

ამ სახით აცილებენ პატარძალს ბოლდიხანის სასახლეს კარებამდინ. აქ პატარძალს თავის თანა-მხლებელნი თავს ანებებენ და ბოლდიხანის კარის ქალები მოეგებებიან. ამათ შეჰყავთ პატარძალი სასახლის დარბაზში, და თან ქორწინების წერილი და ბეჭედიც შეაქვთ.

შუადღისას ბოლდიხანი კაცებს უმართავს სადილს, ბოლდოხანის დედა კი ქალებს უმასპინძლდება. ვარსკვლავთ-მრიცხველებს ნაჩვენებ საათზე მეფე და პატარძალი «ბედნიერების შერბათსა» სვამენ და ნადიმობა ხელ-მეორედ იწყება.

სამ დღეს არის ხოლმე ნადიმი და წვეულება და ამ სამ დღეში ყველა, ვისაც კი სასახლეში შესვლის ნება აქვს, ულოცავს ბოლდიხანს ბედნიერ დაქორწინებას.

მაქვს სათიბი და ამისთანა საქმის დღეში ქრისტიანი კაცი როგორ მოსცდებაო.

ალექსანდრე მაღაროელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ს დღეს ლაპარაკი აღუძრავს ერთს ამბავზე, რომელიც ამ ერთის თთვის წინად მოხდა. თუმცა ამბავი ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ თვით საგანი, რომელიც გაზეთს გაუხსენებია, ისეთი საყურადღებოა, რომ ამაზედ ლაპარაკი არაოდეს მეტი და უდროვო არ იქნება.

ამ ერთის თთვის წინად, ამბობს გაზეთი, დეპეშამ მთელს რუსეთს ერთი ისეთი ძნელად დასაჯერი ამბავი აუწყა, რომ ბევრს მკითხველს მაშინაც კი, როდესაც დეპეშა თავის თვალითა ჰნახეს, არა სწამდა ამ ამბის სინამდვილეო. დეპეშა გვაუწყებდა: «რადგანაც ცალკე კამისიაა დანიშნული, რომელიც ქალების უმაღლესს განათლების საქმეს იკვლევს, ამიტომ ყველა უმაღლესი საქალებო სასწავლებელი, რომელიც საერო განათლების სამინისტროს ექვემდებარება, გაუქმდება, ვიდრე კამისია საქმეს გამოიკვლევსო.

ამ ამბავმა ბევრი მწარედ დაალონა, დიდი და დასაფიქრებელი ლაპარაკი აღძრა, და ამ წუხილისა და ფიქრის პასუხს მხოლოდ მომავალი დრო მოგვცემსო, ამბობს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს:

რაც უნდა გადაჰხდეს თავსა, რა ბედის-წერაც უნდა მოელოდეს ქალების უმაღლესს სასწავლებელს, მაინც ეს სასწავლებელი თავის მნიშვნელობას არ დაჰკარგავს, როგორც ერთი სასიქადულო და სასიამოვნო მოვლენა ჩვენის ახლანდელის ცხოვრებისა. ამ სასწავლებელმა გამოგვიხატა ერთი უმთავრესი და უწმინდაესი მოთხოვნილება ადამიანის ბუნებისა, ეს მოთხოვნილება—სინათლე და სწავლაა. რაც უფრო ძლიერი და ცხოველია ეს მოთხოვნილება საზოგადოებაში, რაც უფრო მეტი ნაწილი საზოგადოებისა ჰგრძნობს ამ მოთხოვნილებას, მით უფრო ძლიერია ეს საზოგადოება, მით უფრო მაღლა სდგას მისი სულიერი ძალ-ღონე. ტყუილად ხომ არ მიაჩნიათ ისტორიაში სასიქადულოდ ის საუკუნოები, როდესაც კაცობრიობის სულიერი ბუნება ნათლისა და სწავლისაკენ მიიზიდებოდაო!... ჩვენში კი რაღაც საოცარ მოვლენასა ვხედავთ: იმ განათლების სურვილს, რომელმაც უმაღლესის საქალებო სასწავლებლის გამართვა გამოიწვია, იმათ კი არ შეუწყეს ხელი, ვინც განათლებას მიჩვეულია და მაშასადამე იმის დიდი მნიშვნელობა ესმის, არა, თვით ქალი აცხადებს განათლების სურვილს და თანაც დიდს საზოგადოებრივს ძალასაც იჩენს ამ პატივსაცემ სურვილის დასაკმაყოფილებლად.

შეძლებაც ამ ბოლოს დროს ქალების სასწავლებელს საკმაოდ ჰქონდა, და მაშასადამე ამ მხრივაც არაფერი გაჭირვება მოელოდა, ამიტომაც გაუქმების მიზეზი უფრო ველარ გაგვიგია.

უმაღლესს ქალების სასწავლებელმა თავისი საკუთარი სახლიც კი აიშენაო, ამბობს გაზეთი, და თვითონ სასწავლებელი კი გაუქმდაო! რასაკვირველია, ეს მშვენიერი ქვითკირის სახლი კიდევ დიდს ხანს იდგება ვასილიევის კუნძულზე, კიდევ დიდს ხანს მიიპყრობს მე-X ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას! ხოლო რას ეტყვის ეს სახლი ჩვენს მომავალ შთამომავლობას, ჩვენს შვილის-შვილებს? რას მოაგონებს ამათ ეს სახლი? იმას, რომ ჩვენს დროში უმაღლესის განათლების სურვილი ყოფილა, თუ იმას, რომ უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა და გაუქმებულა?

გაზეთი ასე ათავებს თავის წერილსა:

მაინც რა იყო მიზეზი, რომ უმაღლესი საქალებო სასწავლებელი გააუქმეს? რამ გამოიწვია ასეთი სასტიკი გარდაწყვეტილება?—არ ვიცით და ჩვენც ამას ვჩივით, ჩვენც ეს გვალაპარაკებსო.

* * *

იმიერ-კასპიის მხარეში რკინის-გზის გაყვანას დიდს მნიშვნელობას აძლევდა რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა. ყველას დიდი იმედი ჰქონდა, ყველა ფიქრობდა, რომ რუსეთის მრეწველობას, ვაჭრობას, აღებ-მიცემობას ფართო გზა გაეხსნებოდა, რუსეთის საქონელს დიდი გასავალი ექმნებოდა. აი ეხლა გაზეთ «Русскій Курьеръ»-ში ვიღაც ბ-ნი ლებლე სრულიად აქარწყლებს გაზეთების იმედებს. ბ-ნი ლებლე იმ აზრისაა, რომ

იმიერ-კასპიის მხარეში ხეირს ვერაფერსა ვნახავთო. ვერც ჩვენი მწერლობა, ვერც აღებ-მიცემობა აქ გზას ვერ გაიკაფავსო, საქმეს ვერ მოაწყობს, სარგებლობას ვერა ნახავსო... ვერც ერთსა და ვერც მეორეს ადგილის მდებარება და აქაურის მცხოვრებლების ქონებრივი ყოფა-ცხოვრება ხელს ვერ მოუმართავენო...

რამდენადაც მე ვიცი ეს ქვეყანაო, ამბობს ბ-ნი ლებლე.

იმიერ-კასპიის მხარეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და მხოლოდ ამის გულისთვის უნდა გვეჭიროს ეს ქვეყანა, ამბობს ბოლოს ავტორი, და სხვა არაფერშია გამოსადეგიო.

* * *

რაკი სიტყვამ მოიტანა იმიერ-კასპიის მხარეზე ლაპარაკი, ურიგო არ იქნება ვუამბოთ ჩვენს მკითხველებს ერთი ზეპირ-გარდმოცემა, რომელიც თექელებ შორის ძალიან არის თურმე გავრცელებული.

თექელები ამბობენო,—მოგვითხრობს გაზეთი „Новости дня“,—რომ ამ ოცის წლის წინად იმ ადგილას, სადაც ეხლა ქალაქი მერვია, 40 ათასი სპარსების ჯარი დაიღუპაო. ეს დასაჯერია: მერვის ახლო ერთი დიდი ტბაა, ამ ტბიდამ წყალი რომ გამოუშონ, მთელ ახლო-მახლო ადგილებს სულ დაინთქავსო. აი ამ ტბიდამ მიუგდიათ წყალი, როდესაც სპარსეთის ჯარი მერვს შეჰსევია, და წყალს მთელი ჯარი დაურჩვიაო. ეხლაც ამ ადგილას, როცა მიწასა სთხრიან, კაცის ძვლებსა და თავებს ბლომად პოულობენო.

მზის დაბნელების გამო 1887 წელსა აგვისტოს 7-სა.

ჩვენი მკითხველები გაიგებდნენ, რომ რუსეთში აპირებს მოსვლას კალიფორნიიდგან ვარსკვლავთ-მრიცხველი ტოდ. ამასთან ტოდთან შეიკრიბებიან კიდევ რამდენიმე ვარსკვლავთ-მრიცხველები სხვადა-სხვა ქვეყნებიდგან. ამ გვარი კრება, რასაკვირველია, გამოიწვევს ბევრს ხარჯსა, მაგრამ შესავსებელად და განსამდიდრებლად მეცნიერებისა, სწავლული კაცები, განსაკუთრებით უცხოთელნი, არასა ზოგავენ, რომ ჩამოხსნან ზეციდგან სიბნელის ფარდა და გაიგონ მდგომარეობა და აგებულება იმ სხვა-და-სხვა გვარ პლანეტებისა და ვარსკვლავებისა, რომელნიც მოფენილ არიან ცის გუმბათზედ. ვარსკვლავთ-მრიცხველები მასთვის უმეტესს ეტრფიან ტოდის მოსვლასა რუსეთში, რომ მთელის რუსეთის იმპერიიდგან შეიძლება დანახვა სრულის მზის დაბნელებისა 7 აგვისტოს 1887 წელსა.

წინედ ყოვლისა ნებას მივსცემ ჩემ თავსა, რომ ორიოდე სიტყვა გსთქვა. რა არის მზე? ჩვენნი ცნობანი მზეზედ ძალიან ხელ-მოკლენი იყვნენ ჩვიდმეტ საუკუნემდინ, ესე იგი იმ დრომდინ, როდესაც ვარსკვლავთ-მრიცხველთა ტელესკოპი შემოიტანეს ხმარებაში. მამა-პაპანი და წინაპარნი ჩვენნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მზე არის საღვთო ცეცხლის ბურთი. მრავალ თანამედროვეთაც აგრეთვე შემცდარი აზრი ჰქონდათ მზეზე: მზე არისო მაგარი, უსინათლო, ცივი სხეული, გარს არტყია გასურებული გაზი. ცხოველი ძალა მზისა იყო მიზეზი, რომ ძველად თაყვანსა სცემდნენ მას. ახლანდელი სწავლა არ აღმერთებს მზესა, არამედ ჰსცდილობს გამოიცნოს აგებულება მისი და თუმცა-ღა ჩვენნი ცნობანი მზეზედ უფრო მეტია, მინამ ვარსკვლავთ-მრიცხველის გალილეისა, მაგრამ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ ბევრი რამ ვიცით მზეზე და მის აგებულობაზე. მართლად საინტერესო არის, რომ ვიქონიოთ ვრცლად მზის ცნობა. წარმოიდგინეთ მზე რომ გაჰქრეს, მაშინ ერთის თვის განმავლობაში ჩვენ არ გადაურჩებოდით სიკვდილს; წყლები დიდ ზღვებში გაიყინებოდა, ყოველ სულდგმულს და მცენარეს მოუსპობოდა სიცოცხლე, არა თუ მოძრაობა. ყოვლისფერი მოძრაობა შესდგებოდა; აზროვნობა შესწყდებოდა, ამიტომ რომ ყველასფერი მზეზე დამოკიდებული.

ახლანდელი სწავლა სცდილობს მისწვდეს, საიდგან გამომდინარეობენ ის სხივნი სითბოს და სინათლისა, რომელნიც აცოცხლებენ ჩვენს ქვეყანასა. ჩვენ შეგვეძლო მრავალნი სარწმუნო ცნობანი შეგვეკრიბა მზეზე, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც ჩვენგან მზემდინ ითვლება, დაახლოვებით, 150 მილლიონი ვერსი. ჩვენთვის მიუწდომელია, რა მასალისაგან შესდგება მზე, ჩვენამდინ მხოლოდ მოდის მზის სხივების რყევა. სასწავლ ხალხს მხოლოდ მაშინ ეძლევათ სრული შემთხვევა შეადგინონ ჭეშმარიტი ცნობანი მზის აგებულობაზედ, როდესაც სრული დაბნელებაა ხოლმე მზისა. მაგრამ ერთის მხრით ამ გვარი სრული დაბნელება გრძელდება რამოდენიმე წამს და მოხდება ხოლმე რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში. მეორეს მხრით ყოველ ქალაქებში და შესანიშნავ ალაგებში რომ ჰქონდესთ ბინა ვარსკვლავთ-მრიცხველებსა და ყველა მათგანნი იყვნენ მდიდარნი ტელესკოპებითა და რიგიანი საჭირო მორთულობითა, მაშინ უთუოდ შეიძლებოდა ბევრი რამე შეგვეტყო მზეზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამას ბევრი ფული უნდება და როდესაც ფული ხელში გვივარდება, მაშინ ხშირად სასარგებლო საქმისათვის აღარა ვხმარობთ ხოლმე.

საზღვარ გარედ განათლებული საზოგადოება დიდის კმაყოფილებით აძლევს საშუალებასა ვარსკვლავთ-მრიცხველებსა გამოსაკვლევად და აღსაწერად მზის დაბნელებისა. ხშირად ავი ტაროსის გამო ვარსკვლავთ-მრიცხველების შრომა უნაყოფოდაც ჩაივლის ხოლმე, მაგრამ წევრნი განათლებულის საზოგადოებისა არა სდგებიან და ხელ-ახლად ჰკრეფავენ ფულებსა, რომ განაგრძონ დაწყებული მუშაობა.

მომავალის მზის დაბნელების ხაზი გაივლის მთელის რუსეთის იმპერიაში. ამ ხაზში ბევრი ქალაქები მოჰყვებიან.

რომ მზე მდიდარია მრავალის წინწკლებითა, ეს დაგვიმტკიცა გალილეიმ 1610 წელსა. მის შემდეგ 1840 წელსა ვარსკვლავთ-მრიცხველები დარწმუნდნენ, რომ მზეს დაბნელების დროს ირგვლივ აკრავს ბრწყინვალე გვირგვინი, მაგრამ

ასეთის ამბით და ყოფით გარდიხადა ჩინეთის თექვსმეტის წლის იმპერატორმა თავისი «დიდი ქორწინება». ის ნამდვილი «ჩინური ცერემონიები» მისგან არ არის შემოღებული. ასე უდღესასწაულნიათ ეს «დიდი და ბედნიერი დღე» მის წინაპართ, ასე დღესასწაულობს იგიცა. ეს ძველებური ჩვეულებაა, რომელიც ჩინეთში კანონად არის გარდაქცეული. ან კი კანონით ვალდებულობა რა საჭიროა: —ნათქვამია,—ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო.

* * *

ასეა თუ ისე, მაინც ეს უცნაური ჩვეულება ჩვენ გვაკვირვებს და გვაოცებს. არ ვიცი, რა სახელს უწოდებენ მკითხველები ამ «ჩინეთურს ჩვეულებას» და ამაში კი მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ ის, რასაც ეხლა ქვემოდ გიამბობთ, თუ სულელურ საქმედ არა, არც ჰკვიანურად უნდა ჩაითვალოს. მე ასე ვფიქრობ და იქნება ჩვენი მკითხველები სულ სხვა აზრისანი იყვნენ? მაშ, დეე, საქმემ თვითონ ილაპარაკოს!

წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთის დედა-ქალაქში, პარიჟში, იმ პარიჟში, რომელიც ზნე-გახრწნილობით ასეა გათქმული, ისეთი მაღალის პატიოსნების ხალხი ყოფილა, რომ თვით გამოჩენილ უანგარო და პატიოსან ბერძენს-არისტიდს მოგაგონებთ. ეს პარიჟელი არისტიდები პარიჟის „კუჩრები“, „იზვოშჩიკები“ და სხვა ამათის ხელობის ხალხი ყოფილა.

აი პარიჟელი გაზეთები რა უცნაურ ამბებს მოგვითხრობენ ამ ახალის დროის არისტიდებზე.

* * *

ერთს მდიდარს რუსს პარიჟში ჯიბიდამ ხუთი ათასი მანეთი დაეკარგა. ამ ახირებულ კაცს სრულიად იმედი აღარა ჰქონდა, რომ დანაკარგს კიდევ იპოვიდა და ამიტომ პოლიციაშიაც კი აღარ გამოაცხადა. გავიდა კარგა ხანი, ეს კაცი პეტერბურგშიაც დაბრუნდა. ერთხელ როგორღაც ერთს თავის კარგ ნაცნობთან ლაპარაკი ჩამოუვარდა პარიჟის თავ-გარდასავალზე, ნაცნობმა დაარწმუნა, რომ პარიჟში ძნელად დაიკარგება რამეო, უთუოდ „საწყობში“ აღმოჩნდება შენი ფულიცაო.

ეს «საწყობი» საუცხოვო რამ არის თურმე პარიჟში. „საწყობს“ ეძახიან ერთს სახლს, რომელიც პოლიციის გამგეობაშია. ამ სახლში ეზიდებიან ყველა დაკარგულს ნივთს, თუ კი პატიოსანი კაცი იპოვნის. ნაპოვნი ნივთი ერთი წელიწადი ინახება აქ და თუ პატრონი არ გამოუჩნდა, საზოგადო საქმეს ახმარებენ.

აი ამ „საწყობში“ ურჩია პეტერბურგელმა ნაცნობმა მოეკითხნა დაკარგული ფული, როდესაც პარიჟში ყოფნა მოუხდებოდა. მართლა და ამ დაუდევარს კაცს ჩქარა მოუხდა პარიჟში წასვლა და სხვათა შორის «საწყობშიაც» შეიხედა სინიდისის დასამშვიდებლად. წარმოიდგინეთ ამის გაკვირვება, როდესაც ხუთი ათასი მანათი ხელ-უხლებლად ჩააბარეს. «კუჩერს» ეპოვნა და მიეტანა.

სხვა წესებს დაჩვეულმა, ამ ვაჟბატონმა მაინც ვერ მოითმინა და აქვე თურმე წამოიძახა:

— „რა სულელი ყოფილა ის „კუჩერი“, რომელმაც ეს ფული აქ მოიტანაო!“

* * *

ამ თორმეტის წლის წინად უფრო უკეთესი მაგალითი ყოფილა პარიჟში.

ამერიკიდამ ერთი ფრანსიელი მოვიდა თურმე პარიჟში და საფრანგეთში სამუდამოდ დასახლებას აპირებდა. ერთხელ ცხენის რკინის გზით სიარული მოუხდა პარიჟში. როცა ვაგონში ჯდებოდა, პალტოს ჯიბიდამ ქისა ამოუვარდა. ქისაში მთელი ამის ქონება იყო, ეს ქონება ორას ათას მანათზე მეტს შეადგენდა. როდესაც შინ დაბრუნდა და ჯიბე ცარიელი ნახა, საწყალს ელდა ეცა და ფერი ეცვალა. ხუმრობა ხომ არ არის კაცმა მთელი თავის სიმდიდრე ერთს დღეს დაჰკარგოს! საწყალი გულ-გახეთქილი ფრანსიელი მაშინვე „საწყობს“ ეცა. წარმოიდგინეთ ამის სიხარული, როდესაც თავის ქისა ხელ-შეუხებლად წინ მოაგებეს. თურმე იმ ვაგონის კონდუქტორს, რომელშიაც ეს კაცი მჯდარა, ეპოვნა და მაშინვე „საწყობში წარმოედგინა.—გახარებულმა დანაკარგის პატრონმა ექვსი ათასი მანათი აჩუქა კონდუქტორს, რომელმაც დიდს უბედურებას გადაარჩინა.

იქნება ბევრმა კიდეც იფიქროს, რომ პარიჟის «კუჩრები», „იზვოშჩიკები“ და «კონდუქტორები» ამისთანა პატიოსნებას იმიტომ იჩენენ, რომ პოლიციისა ეშინიანთო; თუ პოლიციამ გაუგო, რომ ნაპოვნი დაუმალავთ, სასტიკად დასჯისო,—არა, ეს ცილის-წამება იქნება. იმათ მხოლოდ სინიდისი აშინებთ და თავ-მოყვარეობა ამოქმედებთ. აი ამის დასამტკიცებლად ერთი საგულისხმო მაგალითი.

* * *

პოლიციაში ერთი მდიდარი ოქრო-მჭედელი მივიდა და გამოაცხადა, რომ ეტლში ვიჯექ და პარკი დამრჩა, რომელშიაც ორმოცი-ათასი მანათი იყოო.—«იზვოშჩიკის» ნომერი გახსოვთო?—ჰკითხეს პოლიციელებმა.

— არაო!—უპასუხა ოქრო-მჭედელმა.

— რომელი ბირჟიდამ აიყვანეთ «იზვოშჩიკიო»?

— ქუჩაში დავიჭირეო! საუბედუროდ, ცოტა ლაპარაკიც მომივიდა „იზვოშჩიკთანაო“,—დაუმატა ოქრო-მჭედელმა.

— ასე ძალიან ძნელია თქვენის დანაკარგის პოვნაო, გამოუცხადეს ოქრო-მჭედელს პოლიციაში.

მართლაც და პოლიციას სრულიად აღარა ჰქონდა იმედი, რომ დანაკარგს რაიმე გზით იპოვნიდა. მაგრამ იმავე საღამოს თვითონ „იზვოშჩიკი“ მოვიდა „საწყობში“ და ოქრო-მჭედლის დანაკარგი სრულიად მოიტანა. როდესაც პოლიციელებმა ურჩიეს, დანაკარგის პატრონთან საჩუქრის მისაღებად წადიო, „იზვოშჩიკმა“ გულის წყრომით წამოიძახა:

— «ღმერთმა დამიფაროს, იმ პირუტყვს თვალით-ღა ვეჩვენოო.»

რა სახელს უწოდებს მკითხველი ამ გვარ საქციელს?

დონ-იაგო

აქამომდე ვერ შეიტყვეს აგებულება ამ გვირგვინისა. თუმცა-და ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ეს გვირგვინი არისო მიზეზი მზის სითბოსა და სინათლისაო, მაგრამ ამ გვარი აზრი თხოულობს ბევრს დასამტკიცებელს ფაქტებსა, მანამ ჭეშმარიტების სახელს მოიპოვებდეს.

7 აგვისტოს 1887 წელში ვარსკლავთ-მრიცხველებსა სურთ გამოიკვლიონ, რა მასალებისაგან არის შემდგარი მზის გვირგვინი, რომელიც ზემოდ მოხსენებულია, გარდა ამისა უნდათ შეიტყონ: 1) არის თუ არა მეცხრე პლანეტი, რომელსაც უწოდებენ „ვულკანად“. ეხლა ვარსკლავთ-მრიცხველებმა იციან რვა პლანეტი: მერკური, ვენერა, დედა-მიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი; 2) არიან თუ არა მახლობლივ მზისა კუდიანი ვარსკვლავები და 3) არის თუ არა მთვარეზე ჰაერი. თუმცა-და რუსეთის ვარსკვლავთ-მრიცხველის საზოგადოებამ გარდასდვა ათასი მანეთი ასახსნელად ზემო მოხსენებულის კითხვებისა, მაგრამ ათასი კი არა, ხუთმეტი ათასი მანეთიც ძლივ ჰყოფნის ერთის სტანციის გაკეთებას. თუ კი ნასწავლი კაცები მოდიან ამერიკიდგან რუსეთში, არ ზოგვენ 50 ანუ 60 ათას მანეთსა რომ ელირსონ მზის დაბნელების დანახვასა და სამის ანუ ოთხის წამის გულისათვის თავს სწირავენ; იმედია, რუსეთის განათლებული საზოგადოება არ დაიწყებს უკან და იხმარს ყოველ ნაირს საშუალებას არ დაუვარდნენ ამერიკელებსა.

გ. მაჭავარიანი

ქ. სოხუმი

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ბათუმის პორტო-ფრანკოს მოსპობამ ისეთი დიდი ზედმოქმედება იქონია თურმე დასავლეთ ევროპაში, რომ ყველა გაზეთებს მხოლოდ ეხლა აქვსთ სალაპარაკო საგნად. «როგორც გავიგეთო, ამბობს გაზეთი «Presse», 59 მუხლი ბერლინის ხელ-შეკრულობისა აღარ არსებობსო. ეს მუხლი მხოლოდ ორად ორს სტრიქონს შეიცავსო, რომელშიაც მოხსენებულია, რომ რუსის ხელმწიფეს განზრახვა აქვს ბათუმი თავისუფალ ნავთ-სადგურად გარდააქციოს, ნამეტნავად ვაჭრობისათვისაო. ეხლა ბათუმში პორტო-ფრანკო აღარ არსებობს და ამითი თუ დაზიანდებიან და იზარალებენ რასმე, ისევ რამდენიმე კომმისიონერი, რომელთაც ამ ქალაქთან რაიმე ვაჭრობითი დამოკიდებულება ჰქონდათო. ამიტომაც პორტო-ფრანკოს გაუქმება ბათუმში მარტო მცირეოდენს ინტერესებს აზიანებსო. იმედია, სხვა სახელმწიფოებიც დასთანხმდებიან, რომ ბერლინის ხელთ-შეკრულობაში 59 მუხლს ხაზი წაესოს და წაიშალოსო. ინგლისმა, რომელსაც ყველაზედ მეტად შეეხება ეს ამბავი, არა გვგონია, თუ ამ საქმეს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცეს და არ ესიამოვნოს რუსეთის სურვილსაო. საკომერციო და საპოლიტიკო მხრით, ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმება მარტო რუსეთის შინაგანს პოლიტიკის საგანს შეადგენსო. ჩვენის აზრითაო, ამბობს გაზეთი, ეს ბათუმის ამბავი ამღენ ლაპარაკად არც-კი ჰღირსო. უადგილოდ და გაზვიადებული გვგონიაო ყველაფერი ეს მას შემდეგ, რაც გაცვეთილი და დაგლეჯილი ხელთ-შეკრულობა ბერლინისა აგერ რვა წლის შემდეგაც ჯერ არამც თუ მთლად შესრულებული არ არის, არამედ ნასამედის შესრულებაც არავის ფიქრადაც არ მოსვლიაო. ამიტომ ჩვენა გვგონიაო, რომ ყველა სახელმწიფოები, რომელთაც კი ამ ხელთ-შეკრულობაში მონაწილეობა მიუღიათ, მშვიდობიანის თვალით შეხედვენ ამ ამბავს და შეუწუხებლად დასთანხმდებიან, რომ 59 მუხლი ხელთ-შეკრულობისაგან საუკუნოდ ამოიშალოსო.»

საფრანგეთი. გენერალ სოსიეს გუბერნატორადვე დარჩენამ ჯერ კიდევ სრულიად არ დაამშვიდა გენერალ ბულანჟეს საოცარის მოქმედებით შეშინებული და დამფრთხალი რესპუბლიკანელი გაზეთები. აი რას ამბობს ამის შესახებ გაზეთი „Yoltaire“: „როგორც ეტყობა, გენერალ ბულანჟეს განუზრახავს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში დიდი პოლიტიკური როლი ითამაშოს, მაგრამ დავარწმუნებთ, რომ მას თავისი განზრახვა ვერ შეუსრულდებაო. ყველა სარესპუბლიკო დასები გაურჩევლად წინ აღუდგებიან მის სურვილს და სამხედრო წოდების კაცს არ აირჩევენ არც მინისტრთა პრეზიდენტად და არც რესპუბლიკის პრეზიდენტადაო! გენარალმა ეს გარემოება სახეში იქონიოსო.“ თვით გაზეთ «Temps»-აც კი მეტად თავ-გასულად მიაჩნია ბულანჟეს საქციელი და სიტყვის კილო. ამ გაზეთის სიტყვით, ბულანჟეს თავის მხედრობის წესის შეცვლის პროექტში გამოუშვია ის მუხლი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ სამხედრო სამსახურში მყოფთ ნება არა აქვთ არჩევანებში მონაწილეობა მიიღონო. გაზეთი ეკითხება: შეცდომით არის გამოტოვებული ეს მუხლი, თუ განგებაო? პალატის კომისიამ, როცა ბულანჟეს პროექტზედ ჰქონდა სჯა, ეს მუხლი კვალად აღადგინაო.

ოსმალეთი. იმ უკანასკნელის ცნობებიდამ, რომელსაც «Pesther Lloyd»-ში ვკითხულობთ, აშკარადა სჩანს, რომ პორტა ჯერ-ჯერობით არა ჩქარობს საბერძნეთის სამზღვარზე დაყენებულის ჯარის დათხოვნას. სავაჭრო გემებმა, რომელთზედაც ეს ჯარები საბერძნეთის სამზღვრებიდგან მცირე-აზიაში უნდა გადაეყვანათ, ამ უკანასკნელ დროს ბრძანება მიიღეს, რომელიც ამ—პირველ განკარგულებას სრულიად ეწინააღმდეგებაო. იმ გემების უფროსებს, რომელნიც 17 (29-ს) იენისს სალონიკსა, პრევიზსა და დადეგაჩში უნდა წასულიყვნენ, ბრძანება მოუვიდათ, რომ ჯერ-ჯერობითად ადგილიდგან არ დაიძრანო. როგორც კოსტანტინეპოლში ლაპარაკობენ, ოსმალეთს განზრახვა აქვს, რომ ჯერ ხანად მოუცადოს იმ დიდ-მნიშვნელოვან ამბავსა, რომელსაც, როგორც ეტყობა, ბოლგარიასა და მაკედონიაში გამოელიანო და ამ დროსთვის მზად იყოსო და თავისი ჯარებიც მზადა ჰყვანდესო.

დეპეშა

3 ივლისს

მერვი. გუშინ დიდის ამბით პირველად დაიწყეს რკინის გზით მისვლა-მოსვლა მერვამდე.

პარიჟი. სამხედრო მინისტრს ბულანჟეს ებოძა დიდი ჯვარი „საპატიო ლეგიონისა.“

ოსმალის ჰერცოგი ბრუსელში წავიდა.

სოფია. 38 მილიონის ფრანკის სესხობის თაობაზე კრებას თანხმობა გამოუცხადებია.

წინააღმდეგთა დასი კრებიდამ გამოვიდა იმ მიზეზის გამო, რომ პრეზიდენტმა დეპუტატი ნეიჩევი კრებიდამ დაითხოვა.

ნიში. „სკუპშჩინის“ წინ არეულობა მოხდა; დაუტუსაღებიათ კიდევ რამდენიმე ოპპოზიციის დეპუტატი იმ საბუთით, რომ ვითომ უკანონოდ არიან ამორჩეულნიო. ოპპოზიციას გარდუწყვეტია კრებაში მონაწილეობა აღარ მიიღოს, მანამ ეს საქმე არ გადასწყდება.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

5 დღე შაბათი. ღირს. ათანასისა ათონელ. ფრანგ. კირილესი და მეფოდიასი, და ფილომენისა. სომეხ. წმ. ტრდატ მეფისა, მისის ცოლის—დედოფლის აშხენისა და დის ხოსროვიდუხტისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—52 ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—33; მთვარე ამოდის 8—22, ჩადის 5—29.

6 დღე კვირა. ღირსისა სისო დიდისა, ქალწ.—მოწ. ლუკიასი და სხვ. ფრანგ. დომინიკისა, ოსიასი და აგგეასი. სომეხ. პოვნა სამოსლისა წმ. ღვთის-მშობლისა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—56· ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32; მთვარე ამოდის 8—56, ჩადის 6—31.

7 დღე ორშაბათი. ღირს. თომასი და აკაკისა, ქალწ.—მოწ. კირიაკიასი. ფრანგთა აპოლონიასი, კლავდიასი და პულხერიასი. სომეხ. წმ. კალისტრატესი და 49 მოწამეთა და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 9—28, ჩადის 7—27.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ქვავრის მაის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	**ბათუმი** . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24		

განცხადებანი

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. ლამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა [illegible] მაურად.

(10—8)

Дозволено цензурою Тифлисъ 4 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.